საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №1/730

ქ. თელავი

8 დეკემბერი 2014 წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 1 დეკემბრის N1335 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელების შესახებ

“უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N 122/ნ-ე ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის“- იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის - წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 1 დეკემბრის N1335 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

მუხლი 1.

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 1 დეკემბრის N1335 ბრძანებით გათვალისწინებული იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტებისათვის გამოყოფილი სტიპენდიების რაოდენობა (45 ადგილი) გადანაწილდეს ფაკულტეტებზე შემდეგნაირად:

   ა) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი – 10 სტუდენტი;
   ბ) სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი –19 სტუდენტი;
   გ) ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი – 7 სტუდენტი;
   დ) განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი – 3 სტუდენტი;
   ე) აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი – 6 სტუდენტი;

2. სტიპენდიები დაენიშნოს საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით წარჩინებულ სტუდენტებს ამ ბრძანების მე-2 მუხლის 1,2,3 პუნქტებში გათვალისწინებული კრიტერიუმების შესაბამისად.

მუხლი 2.

1. დაევალოს ყველა ფაკულტეტის დეკანს სტიპენდიების დანიშვნისას იხელმძღვანელონ შემდეგი კრიტერიუმებით:
   ა) სტუდენტის აკადემიური მოსწრება;
   ბ) მონაწილეობა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში.

2. კანდიდატთა შეფასება განხორციელდეს 100 ქულიანი სისტემით:
   ა) აკადემიური მოსწრება შეფასდეს 91 ქულიდან ზევით, რომელიც გამოითვლება წინა სემესტრში პროგრამით გათვალისწინებული საგნების ჩაბარების და მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით;
   ბ) ერთნაირი აკადემიური მოსწრების ქულების შემთხვევაში გათვალისწინებულ იქნეს სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, რომელიც შეფასდეს მაქსიმუმ 10 ქულით (მხედველობაში მიიღება ბოლო ერთი წლის განმავლობაში ჩატარებული კონფერენციები:

   - პირველი ადგილის დაკავებისას – 10 ქულა,
   - მეორე ადგილის დაკავებისას – 8 ქულა,
   - მესამე ადგილის დაკავებისას – 6 ქულა,
   - მონაწილეობის შემთხვევაში 4 – ქულა);

3. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის ა) და ბ) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული თანაბარი მონაცემების მქონე სტუდენტების შემთხვევაში დამატებით გათვალისწინებულ იქნას სტუდენტის აკადემიური მოსწრება პირველი სასწავლო სემესტრიდან.

მუხლი 3.

1. დაევალოს უნივერსიტეტის საფინანსო სამსახურს უზრუნველყოს სტიპენდიანტთა შესაბამისი უზრუნველყოფა 2014 წლის ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეებში, თვეში 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით;
2. სტიპენდიაზე წარსადგენ კანდიდატებზე რეკომენდაცია გაიცეს ფაკულტეტის საბჭოების მიერ.

მუხლი 4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 23 აპრილის N1/196 ბრძანება;

მუხლი 5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

მუხლი 6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მისამართი-ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. N41)

უნივერსიტეტის რექტორი ავთანდილ ღელაღუტაშვილი